შენიშვნის ფურცელი

(კრებსითი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“

1 მოსმენა

#	**გამოთქმული შენიშვნები**	**შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობა**
	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი	
	1. პირველი მუხლი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. კანონის მიზანი ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომ - ავტონომიური რესპუბლიკა) რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის (შემდგომ- რესპუბლიკური ბიუჯეტი) პროექტის მომზადების, განხილვის დამტკიცების, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების და მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.“.	**ნაწილობრივ გათვალისწინებულია**
	2. მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვა „უმაღლესი“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვების „ამ კანონით გათვალისწინებული“ ნაცვლად ჩაიწეროს „რესპუბლიკური“.	**გათვალისწინებულია**
	3. კანონპროექტის მე-3 მუხლი მიზანშეწონილია გადავიდეს მე-6 მუხლად, ხოლო მე-3 მუხლად ჩამოყალიბდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის საფუძვლები“. ტერმინთა განმარტების მუხლში მიზანშეწონილია განმარტებული იქნეს მხოლოდ ის ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია კანონპროექტში.	**გათვალისწინებულია**
	4. კანონპროექტის მე-6-მე-13 მუხლებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ერთ მუხლად. ასევე მიზანშეწონილია აღნიშნული თავის ზოგადი დებულებების თავში გაერთიანება.	**გათვალისწინებულია**
	5. კანონპროექტის მე-14 მუხლი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესი არის აღნიშნული საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.	**არ არის გათვალისწინებული**

	6. კანონპროექტის მე-15 მუხლის: ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა“; ბ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს, რადგან ამავე მუხლის მე-3 პუნქტის დუბლირებაა; გ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „საბიუჯეტო პროცესში გამოიყენება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის შესაბამისი მოდულები“.	**გათვალისწინებულია**
	7. კანონპროექტის 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საგანგებო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.“.	**გათვალისწინებულია**
	8. კანონპროექტის 28-ე და სხვა შესაბამის მუხლებში ტერმინი „შემადგენლობაში შემავალი“ შეიცვალოს ტერმინით „ტერიტორიაზე არსებული“.	**გათვალისწინებულია**
	9. 36-ე მუხლის სათაურში სიტყვა „მიღება“ შეიცვალოს სიტყვით „დამტკიცება“, ხოლო მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ფრაზა „(გამონაკლის შემთხვევებში არაუგვიანეს 1 მარტისა).	**გათვალისწინებულია**
	10. მე-8 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „სესხი“.	**გათვალისწინებულია**
	11. 45-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება“.	**გათვალისწინებულია**
	12. კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს მიერ მონიტორინგის განხორციელება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გადაცემული ფინანსური დახმარების ხარჯვაზე. აღნიშნული ნორმა შეიძლება აღქმული იქნეს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობად. აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტი და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ XVI თავი, რომლებიც არეგულირებენ მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაზე ნებისმიერი ფორმის საზედამხედველო მექანიზმების დაწესება შესაბამისობაში უნდა იყოს თვითმმართველობის მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტებთან.	**არ არის გათვალისწინებული**
	13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებების თავი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„კანონის ამოქმედებამდე არსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება** ამ კანონის ამოქმედებამდე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1 აპრილის კანონის (გაზეთი „აჭარა“, №38, 08-12.04.2010) საფუძველზე მიღებული/გამოცემული და მოქმედი სამართლებრივი აქტები	**ნაწილობრივ გათვალისწინებულია**

	ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. **კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ: ა) ამ კანონის ამოქმედებამდე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1 აპრილის კანონის (გაზეთი „აჭარა“, №38, 08-12.04.2010) საფუძველზე მიღებული/გამოცემული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა; ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ახალი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა. **ძალადაკარგული ნორმატიული აქტი** ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის 1 აპრილის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ” (გაზეთი “აჭარა”, N38, 08-12.04.2010). **კანონის ამოქმედება** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“. 14. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების მუხლში კანონპროექტის მე-2 მოსმენით განხილვის ეტაპზე მიზანშეწონილია დაზუსტდეს (კონკრეტულად მიეთითოს) აღმასრულებელი ხელისუფლების რომელი ორგანოების მიერ იქნება გამოსაცემი (მისაღები) კანონპროექტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, თუკი იქნება ასეთის საჭიროება. 15. კანონპროექტის მიმართ კომიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში კანონპროექტის თავები, მუხლები, პუნქტები და ქვეპუნქტები საჭიროებს ხელახალ გადანომრას (ანბანური თანმიმდევრობის შეცვლას). კანონპროექტი დასახვეწია იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.	**მე-2 მოსმენისათვის დაზუსტდება** **გათვალისწინებულია**
1	**საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი**	
	შენიშვნა ან წინადადება არ გააჩნია	
2	**იურიდიული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**	
	შენიშვნა ან წინადადება არ გააჩნია	

საფუძველი: წარმოდგენილი დასკვნები